პროექტი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სს „სარაჯიშვილის“ წესდებაში, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 25.02.2026 წლის N: B26027588/5 გადაწყვეტილებით, შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

მუხლი 1

წესდების 1.15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
1.15 ამ გადაწყვეტილებით იცვლება სს სარაჯიშვილის აქციონერთა 09.02.2026 წლის N:51 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესდება, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 25.02.2026 წლის N:B26027588/5 გადაწყვეტილებით.

მუხლი 2

წესდების 8.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
8.1 აქციონერთა საერთო კრების კომპეტენცია განისაზღვრება ამ წესდებითა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 184-ე, 185-ე და 224-ე მუხლების შესაბამისად, გარდა 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა. 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპეტენცია და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, 184-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გადაცემულია ხელმძღვანელ ორგანოზე (გენერალურ დირექტორზე) და განსაზღვრულია წესდების მე-19 მუხლის 19.4 პუნქტით.

მუხლი 3

მე-14 მუხლის დასახელება შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
მუხლი 14. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია.

მუხლი 4

წესდების 14.1.8 პუნქტი და 14.1.9 პუნქტი ამოღებულ იქნას.

მუხლი 5

წესდების მე-19 მუხლს დაემატოს 19.11 პუნქტი შემდეგი რედაქციით:
19.11 იმ გარიგებებზე (კაპიტალდაბანდებათა შეძენა-გასხვისების, უძრავი ქონებისა და სხვა ქონების შეძენა-გასხვისებისა და უფლებრივი დატვირთვის, აგრეთვე სესხებისა და კრედიტების აღების, გაცემის, უზრუნველყოფის, თავდებობისა და სხვა გარიგებების), რომელთა ღირებულება არ აღემატება საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50 პროცენტს, გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების ხელმძღვანელი პირი (გენერალური დირექტორი).

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე, სამეთვალყურეო
საბჭოს თავმჯდომარე (ე.ბუბუტეიშვილი)